საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ევროპეტროლი

GEORGIA
ADJARIAN AUTONOMOUS
LIMITED COMPANI
EVROPETROL

№20/11 -1

20 ნიოებერი 2024 წელი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
20 - 11 - 2024 წ.
№ 11152

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 21 ნოემბრის N2-937 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (შპს „ევროპეტროლის" 19591 მ³ ტევადობის (30 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და წარმადობის გაზრდაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ) შესაბამისად შპს „ევროპეტროლი" ქ. ქობულეთში ახორციელებს ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება-რეალიზაციას.

საქმიანობის პროცესში, კომპანიამ განახორციელა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, სარეზერვუარო პარკში გზშ-ს ანგარიშშით გათვალისწინებული 5 ერთეული რეზერვუარის (4 ერთ 3000 მ³ და 1 ერთ 750 მ³) ნაცვლად დამონტაჟდა ნავთობპროდუქტების შესანახი 2 ერთეული რეზერვუარი (2300 მ³ და 3380 მ³) და 1 ტექნიკური წყლის რეზერვუარი (750 მ³ მოცულობის), ასევე გზშ-ს ანგარიშშით გათვალისწინებული 15 ერთეული (თითოეული 47 მ³ მოცულობის) ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარის ნაცვლად მოწყობილია 14 ერთეული (თითოეული 47 მ³ მოცულობის) და 1 ერთეული (63 მ³ მოცულობის) რეზერვუარი.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2024 წლის 11 სექტემბრის (კომპანიაში წერილის რეგისტრაციის თარიღი 2024 წლის 21 ოქტომბერი) N DES 4 24 00057844 წერილით წარმოდგენილი N004036 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-9 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად: „ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიას საწარმოში განხორციელებული აქვს ცვლილებები გარემოსდაცვითი შეფასების შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე (იხ N004036 ადმინისტრაციული მიწერილობის N1 დანართის პირველი პუნქტის 1.1. ქვეპუნქტი), შპს ევროპეტროლი ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით".

evropetrol1@gmail.com
საიდენტიფიკაციო / REGISTRATION № 245578398
იურიდიული მისამართი / LEGAL ADDRESS
საქართველო, ქ. ბათუმი, 6010 საქართველო, ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ., №218
ფაქტიური მისამართი: ქობულეთი, თავისუფლების 27ა. 23ა
TEL: № +995 558 44 44 05

აღნიშნულის შესაბამისად სკრინინგის პროცედურის გავლის და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით N004036 ადმინისტრაციული მიწერილობით გათვალისწინებულ ვადაში წარმოგიდგენთ შპს „ევროპეტროლის“ ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას კანონმდებლობით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართები

1. შპს „ევროპეტროლის“ ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია;
   a.
2. საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ GIS (გეოინფორმაციული სისტემები) Shape ფაილები, კოორდინატების მითითებით - ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს „ევროპეტროლის“

დირექტორი მამუკა მოწყობილი